თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3017420

ნომერი: AR1466039

თარიღი : 22.12.2016

გაცემის თარიღი : 12.01.2017

გაცნობის თარიღი : 12.01.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა იოსებ გრიშაშვილი , N 25ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სულხან სიდამონიძე პ/ნ 01021000325
- თემქა 3-1-12-42

ორგანიზაცია:

- შპს დი ეს დი თეგეტა კოდი: 200254321

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 15/02/2013 წლის №530991 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 22/12/2016 წლის №AR1466039 განაცხადით მომართა სულხან სიდამონიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 15/02/2013 წლის №530991 გადაწყვეტილებაში კ-2 კოეფიციენტთან დაკავშირებით ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 15/02/2013 წლის №530991 გადაწყვეტილებით ქალაქი თბილისი, ქუჩა იოსებ გრიშაშვილი, №25ა-ში მდებარე №01.18.04.016.024 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისთვის დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. მიწის ნაკვეთისთვის განისაზღვრა: მიწის ნაკვეთის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1=0.5, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი: კ-2=1.5 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი: კ-3 =0.2

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 15/02/2013 წლის №530991 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომაა, კერძოდ: მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი: ნაცვლად კ-2=1.5-ისა დაფიქსირებულია კ-2=0.8. წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა განმცხადებლის მოთხოვნისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტთთან (კ-2) დაკავშირებული ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და 15/02/2013 წლის №530991 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 15/02/2013 წლის №530991 გადაწყვეტილებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და დაფიქსირდეს: მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი: კ-2 =1.5
2. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 15/02/2013 წლის №530991 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 15/02/2013 წლის №530991 გადაწყვეტილებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.